საქართველოს მთავრობის განკარგულება

N1122 2023 წლის 13 ივნისი ქ. თბილისი

„სს „აკად. ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი“-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 ლარიანი ნომინალური ღირებულების 1,103,372 ცალი აქციის (სახელმწიფო წილი კაპიტალში 100%) საჯარო აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის №1-1/29 ბრძანებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული საპრივატიზებო პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის №1025 განკარგულებაში ცვლილების შეტანისა და შპს „აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრისა“ და შპს „ქალთა ჯანმრთელობის ცენტრის“ საქმიანობის ხელშესაწყობად რიგ ღონისძიებათა განხორციელების შესახებ

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49^1 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, „სს „აკად. ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი“-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 ლარიანი ნომინალური ღირებულების 1,103,372 ცალი აქციის (სახელმწიფო წილი კაპიტალში 100%) საჯარო აუქციონის (პირობებიანი) ფორმით

პრივატიზების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის №1-1/29 ბრძანებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული საპრივატიზებო პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის №1025 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შპს „ქალთა ჯანმრთელობის ცენტრის“ (ს/ნ: 402258329) საკუთრებაში არსებულ ქ. თბილისში, ჩაჩავას ქ. №3-ში (ნაკვ.: 07/018) მდებარე 6267.00 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.13.02.007.018) ან/და ქ. თბილისში, ჩაჩავას №5-ში მდებარე 6488.00 კვ/მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი: №01.13.02.007.024) 2024 წლის 1 ივლისამდე, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, სამედიცინო დაწესებულების მშენებლობა, შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღება, სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის საჭირო შესაბამისი ნებართვ(ებ)ის მოპოვება (მათ შორის, პერსონალის შერჩევა) და ფუნქციონირების დაწყება შემდეგი გრაფიკის მიხედვით:

ა.ა) 2017 წლის ბოლომდე – მშენებლობის ნებართვის მიღება;

ა.ბ) 2018 წლის 1 მაისამდე – მშენებლობის დაწყება;

ა.გ) 2024 წლის 1 ივლისამდე – სამედიცინო დაწესებულების შესაბამისი შენობა-ნაგებობ(ებ)ის ექსპლუატაციაში მიღება, სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირებისათვის საჭირო შესაბამისი ნებართვ(ებ)ის მოპოვება (მათ შორის, პერსონალის შერჩევა) და ფუნქციონირების დაწყება;“.

2. „სს „აკად. ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი“-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 1 ლარიანი ნომინალური

ღირებულების 1,103,372 ცალი აქციის (სახელმწიფო წილი კაპიტალში 100%) საჯარო აუქციონის (პირობებიანი) ფორმით პრივატიზების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 14 იანვრის №1-1/29 ბრძანებით განსაზღვრულისაგან განსხვავებული საპრივატიზებო პირობების დადგენის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 25 მაისის №1025 განკარგულების პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების, მათ შორის, ამავე ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის უზრუნველსაყოფად, ამ განკარგულების პირველი პუნქტის საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე წარდგენილ უნდა იქნეს 2024 წლის 4 ნოემბრის ჩათვლით მოქმედი 200 000 (ორასი ათასი) აშშ დოლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია.

3. ამ განკარგულების პირველი პუნქტის საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შედეგად, ამავე ხელშეკრულების მოშლისა და მის საფუძველზე გადაცემული ქონების სახელმწიფო საკუთრებაში დაბრუნების შემთხვევაში, №01.13.02.007.018 (მიწის (უძრავი ქონების)) საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე არსებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის შედეგად სახელმწიფოს მიმართ დამდგარი ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად, წარდგენილ უნდა იქნეს 2024 წლის 4 ნოემბრის ჩათვლით მოქმედი 200 000 (ორასი ათასი) ლარის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია.

4. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 49[1] მუხლის მე-2 პუნქტისა და „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/საკუთრებაში გადაცემის პირობის შეცვლის/გაუქმების სანაცვლო ანაზღაურების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 8 ივნისის №300 დადგენილებით დამტკიცებული წესის შესაბამისად, შპს

„აკადემიკოს ნოდარ ყიფშიძის სახელობის თერაპიის ეროვნული ცენტრი“ (ს/ნ: 404882294) და შპს „ქალთა ჯანმრთელობის ცენტრი“ (ს/ნ: 402258329) ვალდებულნი არიან, ამ განკარგულების საფუძველზე შესაბამისი ცვლილების ხელშეკრულების გაფორმებამდე უზრუნველყონ 20 450 (ოცი ათას ოთხას ორმოცდაათი) ლარის გადახდა სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ.

5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა სსიპ – სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**